



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
14 დეკემბერი, 2015

ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2015 წლის მე-3-ე კვარტალში წლიურად 32.6%-ით შემცირდა და 489.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, 2015 წლის 9 თვეში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 17.3%-ით შემცირდა და 1.02 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (218.5 მლნ აშშ დოლარი, +64.8% წ/წ), საფინანსო სექტორი (72.7 მლნ აშშ დოლარი, +78.6% წ/წ) და მშენებლობა (62.5 მლნ აშშ დოლარი, -65.8% წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: აზერბაიჯანი (172.7 მლნ აშშ დოლარი, +56.4% წ/წ), ნიდერლანდები (55.4 მლნ აშშ დოლარი, -43.9% წ/წ) და თურქეთი (42.9 მლნ აშშ დოლარი, +100.8% წ/წ).

სახელმწიფო ბიუჯეტი: მიმდინარე წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა (83 მომხრე, 11 წინააღმდეგი). მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს შენარჩუნებულია საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი ნიშნული - მშპ-ს 3.0%. 2016 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 3.0%-ს შეადგენს. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით (+2.5% წ/წ). აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7,980.0 მლნ ლარია (+7.8% წ/წ). 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 10,145.0 მლნ. ლარის ოდენობით (+6.0% წ/წ). 2016 წელს მთავრობა გეგმავს 1,275.0 მლნ ლარის ოდენობის ვალის აღებას, საიდანაც საშინაო ვალის ზრდა შეადგენს 200 მლნ ლარს, ხოლო დანარჩენი თანხის მოზიდვა მოხდება გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების სახით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2015 წლის ნოემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან შედარებით 30.5 მლნ აშშ დოლარით (+1.2%) გაიზარდა, ხოლო წლიურად 4.9%-ით შემცირდა და 2.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ პირველი არასაფინანსო, კერძო კომუნალური ტიპის კომპანიაა საქართველოში, რომელსაც საერთაშორისო სააგენტო Fitch Ratings-მა, 2015 წლის 8 დეკემბერს, პირველივე ცდაზე, ქვეყნის უმაღლესი სუვერენული გრძელვადიანი რეიტინგი „BB“-ი სტაბილური პროგნოზით მიანიჭა. რეიტინგის მინიჭებისთვის საკონსულტაციო მომსახურება და პარტნიორობა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ კომპანია „გალტ ენდ თაგარტმა“ (Galt & Taggart) გაუწია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სუვერენული რეიტინგი ის ფაქტობრივი მაქსიმუმია, რაც ქვეყანაში მოქმედმა კომპანიამ შეიძლება მიიღოს.

ეკონომიკური ინდიკატორები

	11 თვე 2015	2014	2013
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.8%***	4.6%	3.3%
მშპ ერთ სულზე (ppp)*	...	9,209	8,526
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,676	3,600
მოსახლეობა (მლნ)	3.7**	4.5	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.3%	2.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.5	2.7	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	10.6%	5.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.0%	2.6%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	35.5%	34.7%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

**აღწერის წინასწარი შედეგები

*** 2015 წლის 10 თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: სასტატბი

შენიშვნა: 3Q15-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2015-2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №22 (მორითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 პოზიტიური დადასტურებული მარტი-2015	FitchRatings BB- სტაბილური დადასტურებული ოქტომბერი-2015
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 700 მლნ ლარის (292.3 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 7.5% შეადგინა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 92-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.3 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 9.61% შეადგინა (37 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: 2015 წლის სახაზინო ვალდებულებების ემისია დასრულდა, ბოლო აუქციონი 2015 წლის 2 დეკემბერს გაიმართა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევროობლიგაციები (GEBGG) დაიხურა 4.9%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 104.2 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.6 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 5.7%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 103.3 ფასად (-1.3% წინა კვირასთან შედარებით), 7.1%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 105.7 (-0.8% წინა კვირასთან შედარებით), 5.6%-იანი შემოსავლიანობით.

„ბალტ & თაგარტმა“ და „პაშა ბანკმა“ ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის 2-წლიანი 6.0 მლნ ლარის ღირებულების ობლიგაციების წარმატებით გამოშვება უზრუნველყვეს 2015 წლის 10 დეკემბერს. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 ლარს, ხოლო ობლიგაციათა რაოდენობა 6,000-ს. კუპონის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%-იანი მარჟა. შესაბამისად, ობლიგაციის ეფექტური ღირებულება, დღეის მდგომარეობით, შეადგენს წლიურ 15%-ს და გადახდა განხორციელდება ყოველკვარტალურად.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	ადგილობრივი ობლიგაციები				ევროობლიგაციები			
	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	6*	20	15	10	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	11/15	03/15	05/15	09/14	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	11/17	03/17	05/17	09/17	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	15.000**	9.500	9.500	8.750	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	BB-/I/-	-/-	-/-	-/-	BB-/B+/-	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0*	99.0	100	98.0	101.6	104.2	105.7	103.3
საშუალო პროცენტი %	15.0	10.1	9.5	9.7	5.7	4.9	5.6	7.1
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	545.6	464.5	392.0	539.2

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

საქართველოს ევროობლიგაციების ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	105.7	5.6	392.0
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BBB-/Baa3	93.5	5.7	371.9
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/I/-	120.0	1.3	-247.1
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba1	100.7	3.8	330.1
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	114.6	3.3	165.9
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.1	3.5	170.5
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	104.1	4.0	244.1
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	105.7	4.4	274.6

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 18.28 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-4.64% წინა კვირასთან შედარებით და -3.79% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 350 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 18.06–19.64 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 69 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსმა, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 3.44%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 1.87%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.89% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 9.65 აშშ დოლარში (-3.02% წინა კვირასთან შედარებით და +6.99% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 58 ათასს გადააჭარბა, US\$ 9.50 – 9.95 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 130 ათასი აქცია შეადგინა, რაც ნაკლებია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-2.58% წინა კვირასთან შედარებით და -6.85% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 174 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.65 – 1.74 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.1% შეადგინა.

ლიბერთი ბანკის აქციების გამოსყიდვა: ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს აქციების გამოსყიდვა შემდეგი პირობებით: გამოსასყიდი აქციების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1.05 მლრდ აქციით (შეადგენს ბანკის მთლიანი განთავსებული აქციების 19.0%-ს), თითო აქციის გამოსყიდვის ფასი 0.0179 ლარს (2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით თითოეული აქციის არაუდირებული IFRS ანგარიშის შესაბამისად ღირებულების 75%-ს), ხოლო ამჟამინდელი აქციის ფასი ღირებულების არაუმეტეს 50-60%-ს შეადგენს. გამოსყიდვის პირველადი პერიოდი განისაზღვრებულია 15 კალენდარული დღით, 2015 წლის 12 ნოემბრიდან 2015 წლის 27 ნოემბრამდე, ხოლო აქციონერები რომლებიც ფლობენ განთავსებული აქციების 1%-ზე ნაკლებს, მათი გამოსასყიდი პერიოდი დამატებითი 75 კალენდარული დღით განისაზღვრება.

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	27.81	1,098	-2.2%	-1.8%	-3.6%	-14.0%	-9.2%
TBC	TBC	9.65	473	12.3%	-2.5%	-12.3%	-23.4%	-24.3%
Halyk Bank	HSBK	5.48	1,495	-10.2%	-20.0%	-29.8%	-35.5%	-25.1%
KKB	KKB	1.50	598	-48.1%	-44.9%	-53.3%	-60.5%	-57.4%
VTB Bank	VTBR	2.12	13,751	-7.1%	6.6%	-26.3%	-7.7%	4.5%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	8.62	205	-8.5%	-4.1%	11.3%	16.9%	12.1%
Sberbank	SBER	5.97	32,219	-4.1%	30.2%	13.5%	47.4%	19.9%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG*	GHG	2.52	323	-9.2%	nm	nm	nm
Mouwasat	MOUWASAT	30.78	1,539	3.8%	-6.5%	-19.2%	-6.4%
Fortis	FORH	2.60	1,205	3.0%	4.8%	8.3%	48.2%
Raffles	RFMD	3.07	1,764	0.2%	-4.1%	-8.7%	4.5%
IHH	IHH	1.46	11,979	-3.2%	7.6%	-7.6%	5.8%
Bangkok Chain	BCH	0.23	569	24.0%	17.5%	14.0%	-5.0%
Netcare	NTC	2.00	2,910	-25.9%	-27.2%	-34.2%	-39.2%


წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკი (TBCB LI)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადრას რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადრას ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განთავსება ითვლება რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge